ლენინიზმი ჩვენი დროშაა!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

22 აპრილი კვირა 1973 წელი 2 ფაფ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 95 (15612)

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება

კრასნოიარსკის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის ჰიდროელექტროსადგურის შექმნისათვის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის 1973 წლის ლენინური პრემიის რიგგარეშე მინიჭების შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, განიხილეს რა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წარდგინება, ადგენენ 1973 წლის რიგგარეშე ლენინური პრემია მიენიჭოს: ანდრია ექვთიმეს-ძე ბოჩკინს, კრასნოიარსკის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის უფროსს, ალექსანდრე ალექსის-ძე ბელიაკოვს, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, სერგი სილიბისტროს-ძე კუზმინსკის, ლენინგრადის სკკპ XXII ყრილობის სახელობის ლითონის ქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსს, ევგენი ექვთიმეს-ძე ლისკუნს, კრასნოიარსკის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მთავარი ინჟინრის უოფილ მოადგილეს, ვასილ ვასილის-ძე რომანოვს, ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის ელექტრომანქანათმშენებლობა გაერთიანება „ელექტროსილას“ მთავარ ინჟინერს, ნიკოლოზ ვასილის-ძე ზლენინკოვს, კრასნოიარსკის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის მთავარ ინჟინერს — კრასნოიარსკის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის ჰიდროელექტროსადგურის შექმნისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ა. კოსიგინი

ვიშრომოთ, ვიცხოვროთ ლენინურად!

ეს ლეს, 22 აპრილს სრულდება ვ. ი. ლენინის დაბადების 103-ე წლისთავი. ლენინის უკვდავ სახელთან დაკავშირებულია შრომის ადამიანთა ცხოვრებისა და ბრძოლის მთელი რევოლუციური ეპოქა. ვ. ი. ლენინი — ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის დამაარსებელი, სოციალისტური რევოლუციის თეორეტიკოსი და ბელადია, საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის ორგანიზატორია, რაც დრო გადის, წლითიწლობით სულ უფრო გიგანტური ხდება მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ჭეშმარიტად გმირული ცხოვრება.

ჩვენს ქვეყანაში უკვე აშენებული განვითარებული სოციალიზმი, სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობა ლენინიზმის იდეების ხორცშესხმაა.

ლენინის ხაქმეს რომ განაგრძობს, საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცედ მიდის წინ ლენინური კურსით. გუშინ, 21 აპრილს, მთელ ჩვენს ქვეყანაში ორგანიზებულად ჩაიარა კომუნისტური შაბათობის დღემ, შაბათობისა, რომელსაც ასეთ დიდმნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი. სოციალისტური შრომის ამ დღესასწაულისათვის საგულდაგულოდ მოემზადნენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებიც. კომუნისტური შაბათობა მოეწყო ღვეზით: უფრო ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ შეაჯამა ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის პირველი კვარტალის შედეგები. მონაცემები მოწმობენ, რომ როგორც მრეწველობის, ისეე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შრომელებმა პირველ კვარტალში კარგად იმუშავეს. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ მრეწველობამ მთლიანი პროდუქციის გამოშვების პირველი კვარტალის გეგმა 104 პროცენტით შეასრულა. პირველ კვარტალში გაუმჯობესდა მუშაობა კაპიტალური მშენებლობის დარგში. საქმეები ამ დიდმნიშვნელოვან უბანზე უკვე სწორდება. ჩვენი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები გაცილებით უკეთ ართმევენ თავს საგაზაფხულო სამუშაოებს, ვიდრე გასულ წლებში.

მაგრამ ეს წარმატებანი დამშვიდებას უფლებას როდი გვაძლევენ. გაერთიანებულმა სხდომამ პირდაპირ აღნიშნა, რომ იმირეული კვარტალის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების მაჩვენებლები ბევრად უკეთესი იქნებოდა. ყველას რომ ჯეროვანი დაძაბულობით გვემუშავა“.

ეს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ იმიტომ, რომ წლის დარჩენილი სამი კვარტალის მანძილზე უნდა გადავწყვიტოთ მნიშვნელოვნად გაზრდილი ამოცანები.

დიდი ლენინის იდეებს რომ ეუფლებიან, ადამიანებს ახასიათებთ შრომისმოყვარეობა, დისციპლინა, თავმდაბლობა, სამართლიანობა, თავაზიანობა, ერთმანეთისადმი მეგობრობა. შეგნებული დისციპლინა მოიცავს ადამიანის ყოფაქცევის ყველა ამ მხარეს. ქალაქისა და სოფლის მოწინავე ადამიანებისათვის კანონად იქცა კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი, ისინი მინდობილ საქმეს სულით და გულით ჰკიდებენ ხელს. ცდილობენ გააკეთონ ის რაც შეიძლება უკეთ. მოახმარონ მას თავისი ძალა, ცოდნა, ენერგია. ამ ადამიანებს ახასიათებს თაოსნობა, ახლის გრძნობა, ისინი ეხმარებიან თავიანთ გვერდით მდგომთ, წინ უბიძგებენ ჩამორჩენილთ, აღწევენ საერთო წარმატებას.

ლენინი გვასწავლიდა, რომ როცა მუშაობის შედეგებს ვაჯამებთ, უნდა დავინახოთ არა მარტო წარმატებები, არამედ ნაკლოვანებებიც. ეს ნაკლოვანებანი კი არის სამეურნეო მშენებლობაშიც, მასების კომუნისტურ აღზრდაშიც, საერთოდ რევოლუციური თეორიის დაუფლებასა და იდეოლოგიურ მუშაობაშიც.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ პლენუმებზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგების არადამაკმაყოფილებელი განვითარების ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ ბოლო წლებში ინერგებოდა სუბიექტივიზმი და ვოლუნტარიზმი ეკონომიკისა და კულტურის ერდინალური საკითხების გადაწყვეტაში. ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მოვალეობა ის არის, რომ შეუნელებლად იბრძოლონ ნაკლოვანებათა ბოლომდე გამოვლინებისა და აღმოფხვრისათვის.

ახლა გამბედულად, მთელი სიმწვავით უნდა აღვძრათ კომუნიზმის მორალური კოდექსის მოთხოვნათა დაცვის, დისციპლინის, თვითთეული ხელმძღვანელის, კომუნისტის, მუშის, კოლმეურნის საზოგადოების თვითეული წევრის პირსონალური პასუხისმგებლობის ამაღლების საკითხი. საჭიროა ფართოდ დავრაზმოთ მშრომელი მასები მიმდინარე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და ნაკისრ გადდებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის, რადგან ეს წელიწადი გადამწყვეტია პარტიის XXIV ყრილობის წინასწარდასახულობათა შესრულების საქმეში.

პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის პარტია საბჭოთა ხალხს მიუძღვის სწორი გზით, ლენინური კურსით და თავის გარშემო მჭიდროდ აკავშირებს მილიონობით მშრომელებს. „საქმე ის არის, — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა მოხსენებაში სსრ კავშირის 50 წლისთავის შესახებ, — რომ ჩვენ, კომუნისტები, მოუსვენარი ხალხი ვართ, ჩვენ ვვიდა გავაკეთოთ რაც შეიძლება მეტი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, მისი ბედნიერებისათვის — და გაგაკეთოთ შეძლებისდაგვარად რაც შეიძლება მალე... პარტია არა თუ თვითონ იბრძვის ხალხის ინტერესებისათვის, არამედ შეუძლია დარაზმოს კიდეც ამ ბრძოლისათვის, გაიყოლიოს მუშათა ელა ყველაზე ფართო მასები და ხალხი პარტიას უპასუხებს მაღალი აქტივობით, მასობრივი შემოქმედებითი გმირობით“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აიღო მტკიცე კურსი, რომ მკვეთრად გააუმჯობესოს სახალხო მეურნეობის ყველა რგოლის საქმიანობა, მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურება. ეს იმას ნიშნავს, რომ მუშაობა უნდა წარიმართოს სრულიად ახლებურად სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის გადაწყვეტილებათა ხულისკვეთებით.

მარქსიზმ-ლენინიზმი არის მარად ცოცხალი, ყოვლისმძლე ინტერნაციონალური მოძღვრება. ამ მოძღვრების დროშით მასებს დაეუფლა სოციალიზმისა და კომუნიზმის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის იდეები, რომლისთვისაც ასე გმირულად იბრძოდა ვ. ი. ლენინი.

საბჭოთა ხალხი იღწვის იმისათვის, რომ იმუშაოს და იცხოვროს ლენინურად, თავისი შემოქმედებითი შრომით უკვდავყოს ლენინის დიდი საქმე, კომუნისტური პარტიის საქმე.



ვ. ი. ლენინი. მოსკოვი, 1920 წლის თებერვალი.

(ხაზესის ფოტოქრონიკა).

> მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!
>
> სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

გუშინ შაბათობაზე

შრომის ზეიმი

21 აპრილი — კომუნისტური შაბათობის დღე. ისეე, როგორც მთელს ჩვენს ქვეყანაში, საქართველოშიც შრომის ნამდვილ დღესასწაულად გადაიქცა.

სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, სამშენებლო ორგანიზაციებმა დამკვრელურად იშრომეს, მილიონობით მანეთის პროდუქცია გამოუშვეს და გამომუშავებული ხელფასი მთლიანად ხუთწლედის ფონდში გადარიცხეს.

კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები ამ დღეს ფერმებში, მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში ტრიალებდნენ.

დაწესებულებების თანამშრომლებმა, მოსწავლე ახალგაზრდობამ დაასუფთავეს ქალაქის ქუჩები, მოაწყვეს სკვერები, დარგეს ათასობით ხე და ბუჩქი.

ვგეკუთვნით ჩვენი საკ. კორესპონდენტების ცნობებს იმის შესახებ, თუ სად და როგორ მოეწყო ეს შაბათობები.

თბილისი

გუშინ დედაქალაქის საწარმოთა, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციათა, დაწესებულებათა კოლექტივებმა ენთუზიაზმით მიიღეს მონაწილეობა კომუნისტურ შაბათობაში.

შაბათობაში სულ 400 ათასზე მეტმა თბილისელმა მიიღო მონაწილეობა, აქედან 122 ათასმა კაცმა ძირითადი სამუშაო შეასრულა და თითქმის ოთხი მილიონი მანეთის ღირებულების პროდუქცია დაამზადა. აღსანიშნავია, რომ დედაქალაქის სამოცამდე საწარმოს კოლექტივებმა შაბათობის დღეს დაზოგილი მასალებით იმუშავეს.

ამ დღესასთვის ნაკისრი ვალდებულებები გადაჭარბებით შეასრულეს ცალკეულ საწარმოთა კოლექტივებმა. მაგალითად, კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში დაზოგილი მასალებით დაამზადეს რამდენიმე სახარატო ჩარხი.

შაბათობაზე დამკვრელური შრომის მაგალითი აჩვენეს დედაქალაქის მშენებლებმა. ელდანის დასახლებაში გუშინ საექსპლუატაციოდ გადაეცა საცხოვრებელი სახლები, რომელთა მშენებლობა ვადაზე ადრე დაამთავრეს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 14 და № 15 სამშენებლო ტრესტების კოლექტივებმა.

დედაქალაქის მშრომელებმა ხუთწლედის ფონდში გადარიცხეს 400 ათასი მანეთი. („კომუნისტის“ კორ.).

სოხუმი

აფხაზეთის მშრომელებმა შრომითი ენთუზიაზმით აღნიშნეს შაბათობის დღე. ამ სახალხო ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღო 190 ათასმა კაცმა, აქედან უშუალოდ თავიანთ სამუშაო ადგილებზე იშრომა 76.690 კაცმა. ნაკისრი ვალდებულებები გადაჭარბებით შეასრულეს სოხუმის გაზის აპარატურის ქარხნის, ტყავფეხსაცმლის კომბინატის, მექანიკური ქარხნების კოლექტივებმა, ტყავრეელელმა მეშახტეებმა.

შაბათობის დღეს აფხაზეთის ქალაქებში, დაბებსა დ სასოფლო ცენტრებში დაირგო 100 ათასი ხე და ბუჩქი, დამზადდა 644.800 მანეთის პროდუქცია, ხუთწლედის ფონდში გადარიცხულია 125 ათასი მანეთი. (საკ. კორ.).

ბათუმი

აჭარის ასსრ ქალაქებსა და სოფლებში განსაკუთრებული გამოცოცხლება იგრძნობოდა კომუნისტური შაბათობის დღეს. 100 ათასი კაცი გამოვიდა სამუშაოდ. სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ამ დღეს 120 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს და ხუთწლედის ფონდში 50 ათასი მანეთი გადარიცხეს.

განსაკუთრებით დამკვრელურად იშრომა ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივმა. აქ დაზოგილი მასალებით 10 ელექტროურიკა დაამზადეს.

რამდენიმე ათასი კაცი მუშაობდა ქალაქის ქუჩებისა და მისი შემოგარენის დასუფთავებასა და კეთილმოწყობაზე. დაირგო 10 ათასი ძირი ხე და ბუჩქი. (საკ. კორ.).

ცხინვალი

გუშინ 15 ათასმა ცხინვალელმა მიიღო მონაწილეობა შაბათობაში. ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა 110 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. გამომუშავებული ხელფასი 11 ათასი მანეთი ხუთწლედის ფონდში ჩაირიცხეს.

მრავალი მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა ქალაქის კეთილმოწყობის დარგში. დაწესებულებების მუშაკებმა, სტუდენტებმა და მოსწავლეებმა 25 ათასი მწვანე ხე და ბუჩქი დარგეს, ქალაქის დასუფთავებაზე შეასრულეს 12 ათასი მანეთის სამუშაოები. (საკ. კორ.).

ქუთაისი

გუშინ ჩვეულებრივზე ადრე გაიღვიძა ქალაქმა ქუთაისმა. ათეულ ათასობით მშრომელმა მიაშურა თავის სამუშაოს. ქალაქის 109 სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმომ დილიდანვე რიტმულად და გამართულად დაიწყო მუშაობა. ლენინური შაბათობის 50 ათასი მონაწილიდან 28 ათასი კაცი უშუალოდ წარმოებაში შრომობდა, ამ დღეს ერთი მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს.

ქალაქის კეთილმოწყობისა და გაძვწანების სამუშაოების შესრულებაზე 22 ათასი კაცი მუშაობდა. ქალაქის შემოგარენში დაირგო 100 ათასი ძირი ხე და ბუჩქი.

ქალაქის მშრომელებმა შაბათობის დღეს გამომუშავებული ხელფასი 100 ათასი მანეთი ხუთწლედის ფონდში გადარიცხეს.

რუსთავი

20 ათასი მშრომელი გამოცხადდა თავიანთ სამუშაო უბნებზე, რათა მონაწილეობა მიეღოთ ლენინურ შაბათობაში. განსაკუთრებით ორგანიზებულად მოაწყეს შრომა მეტალურგებმა, ქიმიკოსებმა, მშენებლებმა, მეკეთილმენტეებმა.

სულ ქალაქის საწარმოებში გამოუშვეს 60.000 მანეთის პროდუქცია. შეგროვებულია 1.000 ტონაზე მეტი ლითონის ჯართი, გადმოტვირთულია 60 სარკინიგზო ვაგონი, სარემონტო სამუშაოებზე დახარჯულია 10.000 კაცდღე. სკვერებში და ბაღებში დაირგო 6.500 ხე და ბუჩქი.

25.000 მანეთი! — ასეთი იქნება იმ თანხის რაოდენობა, რასაც რუსთაველი მშრომელები ლენინური შაბათობის შედეგად გადარიცხავენ ხუთწლედის ფონდში. (საკ. კორ.).

სსრ კავშირის მრეწველობის მიერ 1973 წლის I კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

1973 წლის — ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის ვადამდე შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულმა მრეწველობის მუშაკებმა წარმატებით შეასრულეს მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის რეალიზაციისა და წარმოების საერთო მოცულობის I კვარტალის გეგმა. გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 2 მილიარდი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. სამრეწველო წარმოების ზრდამ გასული წლის I კვარტალთან შედარებით შეადგინა 6,4 პროცენტი, ხოლო საშუალო სადღეღამისო წარმოების მიხედვით — 7,8 პროცენტი.

მრეწველობის ცალკეული დარგების პროდუქცია 1972 წლის I კვარტალთან შედარებით გაიზარდა:

ელექტროენერგეტიკა	4 პროცენტით
სათბობის მრეწველობა	6 „
შავი და ფერადი მეტალურგია	5 „
ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა	9 „
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	12 „
ხე-ტყის, ხისდამამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა	5 „
საშენ მასალათა მრეწველობა	8 „
მსუბუქი მრეწველობა	3 „
კვების მრეწველობა	1 „
კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო მოხმარების საქონლის წარმოება	11 „

კვარტალური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა ყველა საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკურმა სამრეწველო სამინისტრომ და ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ.

ცალკეული სამინისტროების მიხედვით პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებამ და წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპებმა შეადგინა:

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

საერთო-საკავშირო და საკავშირო - რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებანი	პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულება	1973 წლის I კვარტალი 1972 წლის I კვარტალთან შედარებით: წარმოების მოცულობა	შრომის ნაყოფიერება
ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის	100,9	104	102
ნავთობის მრეწველობის	102	105	104
ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის	102	109	108
გაზის მრეწველობის	102	106	105
ქვანახშირის მრეწველობის	104	104	107
შავი მეტალურგიის	101	105	104
ფერადი მეტალურგიის	101	106	105
ქიმიური მრეწველობის	102	111	109
მძიმე, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის	100,7	107	106
ელექტროტექნიკური მრეწველობისა	103	108	106
ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის	101	108	106
ჩარხსამშენებლო და საინსტრუმენტო მრეწველობის	101	110	107
ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა	102	119	113
საავტომობილო მრეწველობის	104	113	110
სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის	103	110	107
სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის	102	110	108
მსუბუქი და კვების მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა მანქანათმშენებლობის	102	111	109
ხე-ტყის და ხისდამამუშავებელი მრეწველობის	100,8	104	104
ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის	100,7	107	105
საშენ მასალათა მრეწველობის	102	108	106
მსუბუქი მრეწველობის	101	103	103
კვების მრეწველობის	103	101	102
ხორცისა და რძის მრეწველობის	104	98	99
თევზის მეურნეობის	106	111	110
დამზადების	106	105	103
სამედიცინო მრეწველობის	102	112	110
მიკრობიოლოგიური მრეწველობის მთავარი სამმართველო	105	126	120

(გაგრძელება მე-2 გვერდზე).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

დღეისადაც ვიზრუნოთ მანქანა-ტრაქტორთა პარკისათვის

რესპუბლიკის მინდვრებსა და პლანტაციებში, ბაღებსა და ფერმებში წელ უფრო ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება დევიზით „1973 წელი გარდატეხის წელი უნდა გახდეს სოფლის მეურნეობის განვითარებაში!". საქართველოს მიწათმოქმედთა და მეცხოველეთა ამოცანა წელს მხოლოდ ის კი არ არის, რომ შეასრულონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმა, რაც თავისთავად კანონია, არამედ ისიც, რომ პირნათლად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებანი, რაც საშალეტაბ მოგვცემს დაფფაროთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთელ რიგ დარგებში ხუთწლედის პირველი წლების დაგალიანება.

ერთ-ერთი ღონისძიება, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ მიზნით განახორციელა, არის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითად რგოლებში ხაქმეთა ვითარების ხასობრივი დათვალიერება. წარმატებით დამთავრდა მეცხოველეობის ფერმების, საშემოდგომო კულტურების ნათესვების მდგომარეობის დათვალიერ ებანი. 14 და 15 აპრილს რესპუბლიკის ყველა რაიონში გაიმართა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ხატყეო მეურნეობების, წყალთა მეურნეობის სისტემის სამმართველოების, „საქსოფლტექნიკის" რაიონული განყოფილებებისა და სხვა ორგანიზაციების მანქანა-ტრაქტორთა პარკების დათვალიერებაში მონაწილეობდნენ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მეცნიერები, კულტურის მოღვაწეები, დათვალიერებამ მასობრივი მოძრაობის სასიათი ქიიღო. მასში მონაწილეობდნენ ყველა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია, რაიონების საწარმოები და დაწესებულებანი, მექანიზებული რაზმები, ბრიგადები, სარემონტო სახელოსნოები და ქარხნები, შემანქანე-ტრაქტორისტები, შემკეთებლები, სოფლის მეურნეობის ყველა მუშა და მოსამსახურე.

რა ცხადყო დათვალიერებამ, რა დასკვნების გამოტანის საშუალება მოგვცა, სოფ

ად ხაინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გაუმჯობესების რა ღონისძიებათა შემუშავებაში დაგვხმარა?

ამ შეკითხვებზე პასუხი გასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულმა თათბირმა, რომელიც მიეძღვნა რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორთა პარკის დათვალიერების შედეგების შეჯამებას. საინფორმაციო მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. გიგინერიამ. თავიანთი აზრი გამოთქვეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ი. რთველიაშვილმა, საბჭოთა კავშირის სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მანქანათა სამეცნიერო-საკვლევი და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა შ. კერესელიძემ, „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარემ გ. ნაბაძემ, საქართველოს სოფლის მეურნეობის შემანარჩუნებელი ინსტიტუტის მდგომარეობის დათვალიერ ებანი. 14 და 15 აპრილს რესპუბლიკის ყველა რაიონში გაიმართა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ხატყეო მეურნეობების, წყალთა მეურნეობის სისტემის სამმართველოების, „საქსოფლტექნიკის" რაიონული განყოფილებებისა და სხვა ორგანიზაციების მანქანა-ტრაქტორთა პარკების დათვალიერებაში მონაწილეობდნენ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მეცნიერები, კულტურის მოღვაწეები, დათვალიერებამ მასობრივი მოძრაობის სასიათი ქიიღო. მასში მონაწილეობდნენ ყველა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია, რაიონების საწარმოები და დაწესებულებანი, მექანიზებული რაზმები, ბრიგადები, სარემონტო სახელოსნოები და ქარხნები, შემანქანე-ტრაქტორისტები, შემკეთებლები, სოფლის მეურნეობის ყველა მუშა და მოსამსახურე.

რა ცხადყო დათვალიერებამ, რა დასკვნების გამოტანის საშუალება მოგვცა, სოფლად ხაინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გაუმჯობესების რა ღონისძიებათა შემუშავებაში დაგვხმარა?

ამ შეკითხვებზე პასუხი გასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულმა თათბირმა, რომელიც მიეძღვნა რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორთა პარკის დათვალიერების შედეგების შეჯამებას. საინფორმაციო მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. გიგინერიამ. თავიანთი აზრი გამოთქვეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ი. რთველიაშვილმა, საბჭოთა კავშირის სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მანქანათა სამეცნიერო-საკვლევი და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა შ. კ

ბელადის სამშობლოში

აქ ცხოვრობდა ლენინი

ულიანოვსკი, 20 აპრილი. (საკდესის კორ.). დღეს ლენინის მემორიალის შენობაში გაიხსნა გამოფენა. იგი ეძღვნება ვ. ი. ლენინის ულიანოვსკის სახლ-მუზეუმის — ილიჩის უძველესი მუზეუმის 50 წლისთავს, რაც მომდინარე წლის დეკემბერში სრულდება. აქ ულიანოვების ოჯახი 1878-1887 წლებში ცხოვრობდა.

გამოფენაზე წარმოდგენილია დოკუმენტები და ფოტოსურათები, რომლებიც ასახავენ მუზეუმის ნახევარი საუკუნის ისტორიას. ექსპონატებს შორის უურადღებას იპყრობს შთაბეჭდილებათა წიგნი. პირველი ჩანაწერი აქ დატოვებულია 1923 წლის 15 დეკემბერს. ახლა მის 35 ტომში ათასობით ჩანაწერია. ერთ-ერთი მათგანი ეკუთვნის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს, რომელიც ულიანოვების სახლს ეწვია 1970 წელს: „მსოფლიოს დიდი კომუნისტი იზრდებოდა და ვიკაკადებოდა ამ სახლში, რომელიც იცავს მისი სიჭაბუკის ძვირფას რელიკვიებს. ულიანოვების ერთსულოვანი ოჯახის ცხოვრება გვაღელვებს თავისი უბრალოებით, შთაგონებით, ფართო საზოგადოებრივი ინტერესებით“.

უწყვეტ ნაკადად მოდიან ადამიანები ამ სახლიდან. ყოველდღიურად ათი ათასამდე ექსკურსანტი მოწიწებით შედის ამ სახლში. ახლახან აქ მოვიდა მეშვიდემილიონე დამთვალიერებელი.

ყოველწლიურად ულიანოვსკში უკვე მოკავშირე რესპუბლიკიდან ათი ათასამდე ტურისტი ჩამოდის. აქ, ვ. ი. ლენინის სამშობლოში, მისი დაბადების 103 წლისთავის წინ იყვნენ ვოლგოგრადელი და ხაბაროვსკელი მუშები, ალტაელი და ყულუმდელი მხვნელ-მთესველები, ჩებოქსარელ მასწავლებელთა ჯგუფი, მოსკოვის ოლქის მშენებლები. ფრუნზედან ჩამოვიდა ტურისტული მატარებელი, რომელიც ულიანოვსკის, ყაზანისა და ლენინგრადის გავლით ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ადგილებში მოგზაურობს.

ამას წინათ ქალაქის მცხოვრებლები შეხვდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას. უფრო ადრე კი ულიანოვსკელთა სტუმრები იყვნენ ბულგარეთიდან, პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, იტალიიდან, ფინეთიდან, საფრანგეთიდან, იაპონიიდან ჩამოსული დელეგაციები.

უსასრულოა ადამიანთა მდინარე, რომელიც მიემართება ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის უძველესი სახლ-მუზეუმისაკენ. აქ ულიანოვების ოჯახი ცხოვრობდა 1873 წლიდან 1887 წლამდე. მიმდინარე წლის დეკემბერში მუზეუმს ორმოცდაათი წელი უსრულდება. იგი უკვე შვიდ მილიონზე მეტმა კაცმა დაათვალიერა.

დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს ლენინის მემორიალი. ამ დღეებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აქ გაშლილი ექსპოზიცია, რომელიც კომუნისტური პარტიის შექმნის ისტორიას ეხება. ექსპოზიციის ცენტრშია რსდმპ II ყრილობის მასალები, რომლის 70 წლისთავის აღსანიშნავად ემზადება ჩვენი ქვეყანა.

ლენინის სამშობლოს ხელოვნების ტრადიციული საგაზაფხულო ფესტივალიც ეწვია. აქ მოვიდნენ ცნობილი შემსრულებლები, სახელგანთქმული შემოქმედებითი კოლექტივები. წარმატებით მიმდინარეობს ახლა მათი კონცერტები.

როგორც ულიანოვსკელები, ისე სტუმრები ინტერესით ეცნობიან ფერწერისა და ქანდაკების ნაწარმოებებს რუსეთის ფედერაციის მხატვართა ნამუშევრების გამოფენაზე, რომელიც აქ გაიხსნა. ფუნჯისა და სკერეოლის გამოჩენილი საბჭოთა ოსტატების ნაწარმოებებში ფართოდ არის წარმოდგენილი ლენინური და ისტორიულ-რევოლუციური თემატიკა.

ყვავილთა სეზონი, შეიძლება ითქვას ულიანოვსკში ლენინის დღეების ყველაზე მკაფიო ნიშან-თვისებაა, თაიგულები, უჩირავთ ტურისტებს ქალაქს რომ ათვალიერებენ, მიაქვთ მოსწავლეებს რომლებიც ლენინის მემორიალის საზეიმო დარბაზში პიონერთა შეკრებაზე მიდიან. ყვავილთა გროვა, ვ. ი. ლენინის ძეგლის კვარცხლბეკთან ქალაქის ცენტრალურ მოედანზე.

ილიჩის სამშობლო როგორც დიდ ნათელ დღესასწაულს ეგებება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის დაბადების დღეს.

ვ. ზლობინი.



ბაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს კითხვა სარეპლებით.
1973 წ. **ნ. ფუკოვი.**

დიდი მოვლენა

მსოფლიოს მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავს ვ. ი. ლენინის დაბადების 103 წლისთავს

კრაკოვ აქ გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 103 წლისთავს. სხდომაში მონაწილეობდნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი გ. ჰუსაკი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ლ. სვობოდა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარე ლ. შტროუგალი, ჩეხოსლოვაკიის სხვა ხელმძღვანელები.

ბუქარესტი რუმინეთის დედაქალაქში ვ. ი. ლენინის დაბადების 103 წლისთავის გამო გაიმართა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებლის ძეგლის გვირგვინებით შემკობის ცერემონია. ცერემონიას დაესწრნენ პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები, რუმინეთის შეიარაღებული ძალების უმაღლესი ოფიცრები, აგრეთვე რუმინეთის დედაქალაქის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი.

ქოლომბო შრი ლანკის კომუნისტები რესპუბლიკის მთელ საზოგადოებრიობასთან ერთად ფართოდ აღნიშნავენ ვ. ი. ლენინის დაბადების 103 წლისთავს, განაცხადა შრი ლანკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ხ. ა. ვიკრემასინგჰემ საკდესის კორესპონდენტთან საუბარში. ეს თარიღი დიდი მოვლენაა ყველა ქვეყნის მშრომელებისათვის, მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის.

ნიუ-იორკი

ხალხთა საკეთილდღეოდ

21 აპრილი. (საკდესი). ამერიკის საზოგადოებრიობის ყველაზე ფართო ფენების წარმომადგენლები კმაყოფილებას გამოთქვამენ საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესის გამო. „საბჭოთა კავშირ-ამერიკის კონტაქტების გაფართოებისა და გაღრმავების გზა ხსნილია“, — წერს ჟურნალ „ნიუ უორლდ რევიუს“ უკანასკნელ ნომერში მისი რედაქტორი ჯესიკა სმიტი. ცნობილი ამერიკელი პუბლიცისტი აღნიშნავს, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალისტები „უკვე მუშაობენ ორივე ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა კეთილდღეობის, ჯანმრთელობისა და პროგრესის დიდმნიშვნელოვან პრობლემათა გადაჭრის საქმეში ურთიერთგაცვლისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის“. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ყველაზე დიდმნიშვნელოვანია სავაჭრო ურთიერთობის გაფართოების შედეგები და პერსპექტივები“.

ჟურნალში დაბეჭდილია ხანგთა, ახალგაზრდულ და პროფკავშირულ დელეგაციათა ამ წევრების სტატიები, რომლებიც შარშან სსრ კავშირში იყვნენ. ისინი მოითხოვენ საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ნორმალური ურთიერთობის განვითარებას. „საბჭოთა ადამიანებთან შეხვედრებმა დამარწმუნეს, რომ ჩვენი ქვეყნების დელეგაციათა ურთიერთვიზიტები მშვიდობისათვის ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა“, — წერს ჯ. მერფი, რომელიც ხელმძღვანელობდა ამერიკელ ზანგთა ჯგუფს სსრ კავშირში მოგზაურობის დროს. მის აზრს იზიარებს აგრეთვე ახალგაზრდული დელეგაციის წევრი ანეტ კრეინი. „როცა საბჭოთა კავშირიდან მივდიოდი, — წერს იგი, — ვიგრძენი, რომ მესმის ამ დიდი ხალხისა, რომელიც ებრძოდა და იტანჯებოდა, ხალხისა, რომელიც შედუღაბებულია კოლექტივიზმისა და უსაზღვრო პატრიოტიზმის სულისკვეთებით და ერთ-ერთი ყველაზე მშვიდობისმოყვარე ხალხია მსოფლიოში“.

საავადმყოფოების მუშაკთა პროფკავშირის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი დ. ტერნერი ჟურნალის მკითხველებს უზიარებს სსრ კავშირში მოგზაურობის შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებებს და აღნიშნავს, რომ „რუსები ძალზე დიდსულოვანი და გულკეთილი ხალხია“. ელექტრო-და რადიომრეწველობის მუშათა გაერთიანებული პროფკავშირის წევრს ჯეიმს ლერნერს თავის სტატიაში მოჰყავს ამ პროფკავშირის თავმჯდომარის ა. ფიტცჯერალდის სიტყვები, რომელიც თქვა სსრ კავშირში ვიზიტის დამთავრების შემდეგ. „ადამიანები, რომლებსაც ჩვენ ვხვდებოდით, — უთქვამს ფიტცჯერალდს, — რწმენით შეჰყურებენ მომავალს“.

ანკარა

თურქეთის პრემიერ-მინისტრის განცხადება

21 აპრილი. (საკდესი). თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ნაიმ თალუმ გუშინ პარლამენტში ჩაუოყალიბა თავისი მთავრობის პროგრამა.

საგარეო პოლიტიკის დარგში განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, მთავრობა იხელმძღვანელებს ათათურქის პრინციპებით. თურქეთი, ხაზგასმით აღნიშნა მან, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ კარგი ურთიერთობა ჰქონდეს თავის ჩრდილოელ მეზობელთან — საბჭოთა კავშირთან.

შეეხო რა ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას, ნ. თალუმ თქვა, რომ „თურქეთი ილაშქრებს ძალისა თუ ძალის გამოყენებით მუქარის შედეგად ტერიტორიების შეძენისა და პოლიტიკური საგებლობის მიღების წინააღმდეგ“. ამიტომ თურქეთი მოითხოვს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის სამართლიან გადაწყვეტას ეგერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის საფუძველზე.

შეეხო რა საშინაო პოლიტიკის საკითხებს, პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ ახალი კაბინეტის ამოცანაა ბოლომდე მიიყვანოს რეფორმები, რომელთა მომზადება დაიწყო წინა მთავრობამ. ეს არის, კერძოდ, აგრარული რეფორმა, რეფორმა განათლების დარგში, არჩევნებისა და პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონების შეცვლა. ნ. თალუმ განაცხადა აგრეთვე, რომ მთავრობა მოემზადება პარლამენტის არჩევნებისათვის, რომელიც მიმდინარე წლის ოქტომბერში გაიმართება.

სტამბოლი

გარდაიცვალა ძემალ ტაჰირი

21 აპრილი. (საკდესი). დღეს აქ 64 წლის ასაკში გარდაიცვალა თვალსაჩინო თურქი მწერალი ძემალ ტაჰირი. ტაჰირის რომანები თარგმნილია ბევრ ენაზე, მათ შორის რუსულ ენაზე. საბჭოთა მკითხველი იცნობს თურქი მწერლის რომანს „დატყვევებული ქალაქის ადამიანები“ და სხვა ნაწარმოებებს.

ტოკიო

სამართლიანი მოთხოვნა

21 აპრილი. (საკდესი). დღეს ოკინავის მუნიციპალურმა კრებამ მოითხოვა, რომ იაპონიის სასამართლოს გადასცენ იმ ამერიკული ტანკის ეკიპაჟის სამე, რომლის მიზეზით დაიღუპა იაპონელი გლეხი ქალი, ავრეთვე აუკრძალონ ამერიკის შეერთებული შტატების ჯარებს წვრთნისა და მანევრების გამართვა ოკინავაში.

ოკინავის რიგგარეშე მუნიციპალური კრება მოიწვიეს იმასთან დაკავშირებით, რომ რამდენიმე დღის წინათ ამერიკულმა ტანკმა გაიტანა 73 წლის იაპონელი გლეხი ქალი.

ბეირუთი

წერილი ბრეჟნევისა

21 აპრილი. (საკდესი). ტელ-ავივი განაგრძობს ტერორის კამპანიის ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე. როგორც პალესტინის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ღაზაში ისრაელის ხელისუფლებამ ძალით დაიწყეს პალესტინელ ლტოლვილთა გასახლება ბანაკებიდან და მათი სახლების დანგრევა.

ამავე დროს საოკუპაციო ხელისუფლები კვლავაც დევნიან ყველას, ვინც გმობს დანაშაულს, რომელიც ისრაელის მხედრიონმა ჩაიდინა ბეირუთში 10 აპრილს.

რომი

მიწისძვრა იტალიაში

ძლიერმა მიწისძვრამ ბიძგი ნამდვილი პანიკა გამოიწვია გუშინ იტალიის ქალაქ ჩიტა-დიკასტელოს (უმბრიის ოლქი) 38 ათას მცხოვრებს შორის. მოქალაქეები სახლებიდან გამოვიდნენ და მთელი ღამე ქუჩებში გაატარეს. დაზიანდა რამდენიმე ძველი შენობა. მსხვერპლი არ უოფილა. მიწისძვრაში ბიძგი რეგისტრირებულია აგრეთვე ჩრდილოეთ უმბრიის სხვა დასახლებულ პუნქტებშიც.

თოვლი შვეიცარიაში

ქონევა

დიდი თოვლი მოვიდა ამ ბოლო ორ დღეში შვეიცარიის მეტწილ მთის რაიონებში. ცალკეულ ადგილებში თოვლის სიმაღლე ნახევარ მეტრს აღწევს. დაიბურა 15 მთის უღელტეხილი. შვეიცარიის დაცვისა ზვავის შემსწავლელმა ინსტიტუტმა გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც აფრთხილებს მოსახლეობას, რომ ალპებში შესაძლებელია ზვავი.

მსოფლიო დღეს

ბელგრადი

ოფიციალური ვიზიტით

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი, არმიის გენერალის ი. იონიცეს მოწვევით დღეს რუმინეთში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო, აეროპორტში სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს დახვდნენ რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი არმიის გენერალი ი. იონიცე და სხვა ოფიციალური პირები.

დღესვე დაიწყო სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრის მოლაპარაკება. (საკდესი).

ბუქარესტი (საკდესი). რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა არმიის გენერალმა ი. იონიცემ გუშინ გამართა დარბაზობა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის, საბჭოთა კავშირის მარშალის ა. ა. გრეჩკოს პატივსაცემად, რომელიც აქ ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იმყოფება.

დარბაზობამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ეკუინგტონი

უ. როჯერსის მოსაზრებები კონგრესს

20 აპრილი. (საკდესი). „შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა უ. როჯერსმა კონგრესს გაუგზავნა მოხსენება „ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა 1972 წელს“, რომელშიც შეჯამებულია წლის შედეგები საერთაშორისო ურთიერთობის დარგში და ჩამოყალიბებულია ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა უახლოესი მომავლისათვის.

გასული წლის მაისში უმაღლეს დონეზე მოსკოვის შეხვედრის შედეგად, აღნიშნავს უ. როჯერსი, არსებობს „საამედო საფუძველი, რომ საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ურთიერთობაში დაიწყოს თანამშრომლობის სულისკვეთებით გამსჭვალული ლონისძიებათა ახალი ერა“.

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უპირველეს მნიშვნელობას მიანიჭებს საბჭოთა კავშირთან და ევროპის სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ჯანრმრთელობის გაფართოების საკითხებს.

სახელმწიფო მდივანი აღნიშნავს, რომ დასავლეთ ბერლინში დაბომბულობის შენელების შედეგად გაუმჯობესდა პოლიტიკური კლიმატი. ოთხმხრივმა შეთანხმებამ დასავლეთ ბერლინის შესახებ ხელი შეუწყო დაჩქარებულ წინსვლას უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე ხრულიად ევროპის თანაბირის მოწვევისა და შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირების თაობაზე მოლაპარაკების მოწყობის გზით.

ეხება რა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობას, სახელმწიფო მდივანი აღნიშნავს, რომ შეერთებული შტატები „დაკვირვებულად და ენერგიულად იქცევა განმტკიცოს და გააფართოოს ის პირველადი გაუმჯობესება, რომელსაც შარშან მიაღწიეს“.

ტოკიო

ოკინავა

ოკინავა ამერიკელ ოკუპანტებს ოკინავაზე ბირთვული ბომბებიც ეყარა. ეს ბომბები ინახებოდა ოკინავაზე ამერიკელ ოკუპანტთა ბაზებზე

თბილისი დღეს



ორჯონიკიძის სახელობის რაიონის ერთ-ერთი კუთხე.
ს. თევზაძისა და ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მწერლები და მათი გმირები

ბათუმი, 21 აპრილი. (საქინფორმის სპეც. კორ.). გუშინდელ სხდომაზე თვალსაჩინო საბჭოთა პროზაიკოსს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს არკადი პერვენცევს როცა გამოაცხადა დარბაზში იმყოფება ჩემი ახალი რომანის „საიდუმლო ფრონტის“ მთავარი გმირის ლეიტენანტ გიორგი კუტაის პროტოტიპი პეტრე სავლეს-ძე კოროვკოო, მქუხარე ტაშმა შეაწყვეტინა სიტყვა.

მწერალთა ფორუმის მონაწილეთა წინაშე იდგა წარმოსადეგი ახალგაზრდული შესახედაობის მესაზღვრე. იგი დაბნეულად იღიმებოდა და უხერხულად უკრავდა თავს დამსწრეთ, როგორც ადამიანი, რომელიც მიჩვეულია უხმაუროდ და თავმდაბლურად ასრულებდეს თავის ხიფათალსავსე კეთილშობილურ საქმეს.

თითქმის ოცდაათი წელიწადია პეტრე კოროვკო მსახურობს სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დამცველთა რიგებში. თხუთმეტი წელი გაატარა ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის ჯარებში. იგი პირველი საბჭოთა მესაზღვრეა, რომელმაც დაიმსახურა სამი მედალი „სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვაში წარჩინებისათვის“. პ. კოროვკო კვლავაც მწყობრშია, იცავს სამშობლოს სამხრეთის საზღვრებს.

აქვე, თათბირზეა მოსკოველი პოეტი ბორის დუბროვინი, რომელმაც დაწერა მოთხრობა „ვეიწყება წლებს“. ამ ნაწარმოების გმირია ჩვენი თანამემამულე, ბრესტის საკონტროლო-გასაშვები პუნქტის პრაპორშჩიკი, ოქტომბრის რევოლუციის ორდენის კავალერი ვარლამ მიხეილის-ძე კუბლაშვილი. აი რა თქვა ავტორმა თავის გმირზე:

— ვარლამ კუბლაშვილი საოცარი კაცია: უსაზღვრო ერთგულია თავისი მოვალეობისადმი, თავმდაბალია, ბავშვივით უმანკოგული აქვს. როცა ასეთ ადამიანებს ხვდები, გიხარია, სიცოცხლე გეხალისება. მადლობა მას, მადლობა საქართველოს, რომელმაც მამაცი შვილი აღზარდა.

ფორუმის მონაწილეებმა გამართეს სერიოზული მსჯელობა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამხედრო-პატრიოტულ თემას, რომელიც განუყოფელია საბჭოთა ლიტერატურისაგან.

თათბირის მონაწილეებმა დაათვალიერეს სსრ კავშირის სახალხო მხატვრის ლადო გუდიაშვილის გამოფენა, რომელიც ბათუმში გაიხსნა.

თათბირი მუშაობას განაგრძობს.

დიდი ჭადრაკი

დღეს თბილისში ჭადრაკის ახალ სასახლეში გაიმართება ქალთა საერთაშორისო ტურნირის საზეიმო გახსნა. ამ რიგით მეშვიდე ტურნირში ვამოვა 14 მოჭადრაკე, მათ შორის მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი და საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი ნანა ალექსანდრია.

უცხოელი მოჭადრაკეებიდან ბრძოლაში ჩაებმებიან ბულგარეთის, გდრ-ის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და მონგოლეთის წარმომადგენლები.

...მაინც დაიკყრეს ამერიკა

„კომუნისტის“ სტუმარი



„ეძებსმა საბჭოთა გოგონამ დაიპყრო ამერიკელ სპორტის მოყვარულთა გული“. — ასე წერდნენ ამერიკის შეერთებული შტატების გაზეთები ჩვენს ტანმოვარჯიშეებზე — ლიუდმილა ტურიშჩევაზე, ოლგა კორბუტზე, თამარ ლაზაკოვიჩზე, ანტონინა კოშელზე, ლიუბოვ გოგდანოვასა და რუსუდან სიხარულიძეზე. 20 დღის განმავლობაში გამოდიოდა „შესანიშნავი ექვსეული“ ამერიკის ქალაქების დიდ სპორტულ დარბაზებში, სადაც მათი ოსტატობის საზღაური იყო მხურვალე ტაში და აღტაცების შეძახილები.

გუშინ რუსეიკო მშობლიური ბათუმიდან თბილისში ჩამოვიდა და ჩვენს რედაქციას ეწვია თავის სპორტულ აღმზრდელთან, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ ანგელინა გაბრიაძესა და ახალგაზრდა ბათუმელ თანაგუნდელ — 16 წლის სპორტის ოსტატ ქეთინო გოგიჩაიშვილთან ერთად. ჩვენი კორესპონდენტი **ო. ნოზაძე** ესაუბრა სახელოვან ქართველ სპორტსმენს, რომლის პასუხს დღეს „კომუნისტის“ მკითხველებს ვთავაზობთ.

— რა მნიშვნელობა ჰქონდა ამერიკულ ტურნეს და როგორ მოხდა ამჯერად უძლიერესთა ექვსეულის შერჩევა?

ჩვენი გამოსვლები ოკეანეს გაღმა ამჯერად წმინდა საჩვენებელ ხასიათს ატარებდა. ამიტომ იყო, რომ ყველანი თავისუფლად, დაბეჯითებულად ვვარჯიშობდით და სათანადო მოწონებაც დავიმსახურეთ. უნდა ითქვას, რომ ჩვენი გუნდის შემადგენლობა თვითონ მასპინძლებმა განსაზღვრეს და პირადად მე დიდად მოხარული დავრჩი, რომ კვლავ საუკეთესოთა ექსეულში მოვხვდი.

— რას გვეტყვით ამერიკელ სპორტის მოყვარულებზე?

ჯერ ერთი, სადაც კი უნდა გამოვსულიყავით, — 30-ათასიანი „ასტროდრომი“ იყო თუ 65-ათასიანი განთქმული „მედისონ სკვერ გარდენი“, — დარბაზი ყოველთვის გაჭედილი იყო მაყურებლებით. ჩვენს გოგონებს ცნობდნენ ჟურნალ-გაზეთებში და ლამაზ ფირად პროგრამებში დაბეჭდილი სურათებით, ტრიბუნები სასელდასხელოდ ექსეად „იყოფოდნენ“ და ხმამაღლა ყიროდნენ — „ლიუდა!“ „ოლგა!“ ან და, ვთქვათ „რუსეიკო!“.

— რა გაჩვენეს მასპინძლებმა და რა შეხვედრები გქონდათ ამერიკულ მეწაზე... ტანვარჯიშის დარბაზებს მიღმა?

მთელი დელეგაცია (სულ თერთმეტნი ვიყავით) მიგვიპატიჟეს თეთრ სასლში, სადაც 45 წუთი დავყავით. მიგვიღო პრეზიდენტმა ნიქსონმა, რომელმაც თვითეულს თავისი საგვარეულო გერბი მოგვიძღვნა. დიდი ინტერესით დავათვალიერეთ პიუტტონის კოსმოსური ცენტრი, განთქმული „დისნეილენდი“, დელფინარიუმი განუმეორებელი ატრაქციონით, ნიაგარის ჩანჩქერი, ლოს-ანჯელესის ცნობილ კინოვარსკვლავთა მუზეუმი ღია ცის ქვეშ, სადაც ვნახეთ ბრიჯიტ ბარდოს, ალენ დელონისა და სხვათა ხელფესის ანაბეჭდები. სხვათა შორის, ვერავინ ვერ ჩაეტია ბრიჯიტ ბარდოს „ზომებში“, ოლგა კორბუტიც კი. ჩიკაგოში მიგვიღეს ქალაქის მესვეურებმა, რომლებმაც ყველას გვაჩუქეს ძველი ჩიკაგოს გერბი საგანგებო წარწერით; ვაშინგტონში შევხვდით ცნობილ ჯაზურ მომღერალს ენგელბერტ ჰამპერტინს, ნიუ-იორკში — ჩვენი ტურნეს ორგანიზატორს, მილიონერ ფაბერეს და... ალიკ მეტრეველს. იგი ჩვენს გამოსვლებზე მოვიდა და, ცხადია, ძალიან გაგვახარა ყველა.

— ეგებ მოკლედ დაგვიხასიათოთ თქვენი ექსეულის თვითეული წევრი?

სიამოვნებით! ლ. ტურიშჩევა დღეს საბჭოთა ტანვარჯიშის უტყუარი ლიდერია. გამოირჩევა დიდი ოსტატობით და მებრძოლი სულით. ჭკვიანი, გულთბილი და ამხანაგური გოგონაა. ჩვენ ყოველთვის ერთად ვცხოვრობთ და დავდევართ ხოლმე, რ. კორბუტი რთული ილეთების კარგი შემსრულებელია. მხიარული ხასიათისაა, ყოველთვის იღიმება და მაყურებელსაც ძალიან მოსწონს; ტ. ლაზაკოვიჩი ელეგანტური, დინამიური, მეტად სტაბილური ტანმოვარჯიშეა; ა. კოშელი ყოველთვის გულმოდგინედ ვარჯიშობს, უყვარს მეგობრისადმი დახმარება. სამწუხაროა, რომ ამ ტურნეს დროს ხელი იტკინა და მთელი დატვირთვით ვერ გამოდიოდა. ლ. ბოგდანოვა — 17 წლის მოსკოველი მოსწავლე. იგი ძლიან დაკვირვებულია, ცდილობს მიბაძოს კორბუტს და ეს, მგონი, გამოუდის კიდეც.

— და, ბოლოს, თქვენი უახლოესი გეგმების შესახებ.

26-29 აპრილს ჩეხიანინსკში გამოვალ საკავშირო თასის წინასწარ გასამაგრებაში. ფინალი, როგორ ცნობილია, გაიმართება თბილისში. შევეცდები არ გავაწყალო ქართველი გულშემატკივრები, ჩემი საყვარელი მწვრთნელი, მშობლიური სასწავლებელი — ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, რომლის ბიოლოგია-ქიმიური ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ვარ.

სურათებზე: რუსუდან სიხარულიძე „კომუნისტის“ რედაქციაში; ამერიკულმა პრესამ „საქართველოს ულამაზესი ასული“ უწოდა ჩვენს ტანმოვარჯიშეს.
ვ. ბინხუბერის ფოტო.

სამი მატჩი

ფეხბურთი

გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის სამი მატჩი.

მოსკოვში, „დინამოს“ სტადიონზე ცსკა-მ მიიღო „პახტაკორი“ და გაიმარჯვა ანგარიშით 3:0. ორი ბურთი გაიტანა დოროფეევმა, ერთი — ალოიკარპოვმა.

„სპარტაკისა“ და „არარატის“ შეხვედრაში, რომელიც ლუჟნიკში გაიმართა, მეტოქეებმა ორ-ორი ბურთი გაიტანეს (პოდოსიანი — 2, ლოგინოვი და პისკარიოვი). დაინიშნა პენალტების სერია, რომელმაც გამარჯვება მოუტანა ერევნელებს საერთო ანგარიშით 7:6.

კიევის „დინამო“ საკუთარ მოედანზე შეხვდა ლვოვის „კარპატს“ და გაიმარჯვა ანგარიშით 1:0. ბურთი გაიტანა ვერემეევმა.

დღეს გაიმართება მესამე ტურის დანარჩენი ხუთი შეხვედრა. თბილისის „დინამო“ მინსკში ხვდება თანაკლუბელებს.

სიმართლის გამარჯვების რწმენით

ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“ რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე

ცხრანი არიან ერთ საკანში, მაგრამ ცხრა ძმა ხერხეულიძის მსგავსმა გმირულმა იდეამ როდი დააკავშირა ისინი. მათ არც არაფერი აქვთ საერთო საკნისა და გასაჭირის გარდა. თვითეული სხვადასხვა „ცოდვამ“ მოიყვანა ამ გასაჭირამდე. ამიტომ არც ეს გასაჭირია ყველასათვის ერთნაირ ტვირთად სატარებელი. ზოგს „კაცთაკვლის“ მძიმე ცოდვა აწევს, ზოგი რეციდივისტი ქურდია, აქვს არაან სახელმწიფო ქონების დამტაცებლებიც, მექრთამეებიც, ხულიგნებიც და სხვა. სულის გამოსამდაგნებელი ფიქსაჟსა ჰგავს საერთო საკანი. იმ ახალბედებმა, რომლებსაც საბრალდებო დასკვნა არ მიუღიათ, ჯერ კიდევ არ იციან ეს. ადრე თუ გვიან თვითონვე რწმუნდებიან, რომ ზოგჯერ ოფიციალურ საბრალდებო დასკვნაზე უფრო მეტად მამსილებელია ერთ ბედნიერ მყოფ ადამიანთა შორის დაწესებული სინდისის სამსჯავრო.

უთუოდ იყო რაღაც არსებითი, რიცა სტენდალი ტიპებისა და ხასიათების უკეთ შესასწავლად სასამართლო პროცესებზე დასწრებას ურჩევდა ახალბედა მწერლებს. ამავე მიზნით ბევრ შემოქმედს საკანგებოდაც „შეუფეხია“ სატამბროში, მაგრამ ხანგრძლივად არცერთ ჭკუთმყოფელს არ განუწრასავს იქ დარჩენა. თვითეულს, ვისაც კი ერთხელ მაინც უგრძნია მისი სიმწარე, საოცნებო ხატად გაუხდია მშვიდობისა და თავისუფლების სიმბოლო ნაღიარები — „თეთრი ბაირაღები“, სიმბოლური თეთრი ბაირაღები კი მსოლოდ მამინ შეიძლება გამოფენილ იქნას ქვეყანაზე, როცა პირისაგან მიწისა ადიგვება ვერაგობა, მრუშობა, ეგოიერება და სიბილწე, მომხვეჭელობა და გაუტანლობა...

„თეთრი ბაირაღები“ უწოდა ნოდარ დუმბაძემ თავის ახალ რომანს, რომელშიც მისთვის ჩვეული მასვლილი იუმორით, ჰუმანური სულისკვეთებით, მძაფრი კრიტიკული მამხილებლობით აისახა ჩვენი ყოფის ის ზოგიერთი ნაკლოვანი მხარე, რომელსაც ასლა ასეთი შეურიგებელი სიმკაცრით ეერძვის ჩვენი საზოგადოებრივობა, ყოველი პატიოსანი ადამიანი.

„საბრალ დ ებ ო დასკვნაც“ ნ. დუმბაძის ამავე თემაზე აგებული პიესაა, რომლის დადგმაც ახლახან განახორციელა რეჟისორმა რ. სტურუამ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

ცნობილია ნ. დუმბაძის მდიდარი სიტყვიერი ლექსიკა, მისი ჭეშმარიტად ქართული, მახვილგონიერი იუმორი და ნათელი პოეტური მეტაფორულობა. ამ იუმორს განსაკუთრებით თავისი შესატყვისი ფორმა აქვს გამოძებნილი პირველ წყაროში — ლიტერატურულ ნაწარმოებში და ყოველი მისი ახალი ფორმით (ამ შემთხვევაში სცენური ფორმით) აღქმა და გადმოტანა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რამდენადაც სცენას სიტყვათა გამოყენების მეტად თავისებური სპეციფიკური მხარე აქვს, ხშირად ის, რაც პოეტურად მომხიბლელი და ნათელია ლიტერატურულ ნაწარმოებში, ზედმეტად და მომბეზრებლად გამოიყურება სპექტაკლში (მით უმეტეს თანამედროვე სპექტაკლში). ერთი ცნობილი რეჟისორის თქმისა არ იყოს, თანამედროვე თეატრში სიტყვა მსოლოდ მოსასმენი საშუალება როდია. იგი მოქმედების სახით უნდა შემოდიოდეს ჩვენს ცნობიერებაში. მთლიანობა ირღვევა, როცა ცალკე ვისმენთ სიტყვებს და ცალკე ვუყურებთ მოქმედებას. სპექტაკლში ერთდროულად კიდეც უნდა ვისმენდეთ და კიდევაც უნდა ვხედავდეთ. ეს მით უმეტეს ითქმის ნ. დუმბაძის იმ მახვილგონიერ თქმებზე, რომლებსაც ლიტერატურულ წყაროში ყოველთვის აქვს თავისი შესატყვისი მხატვრული ფორმაც.

და გასაგებია, როცა ზოგიერთი დამარცხებულა ნ. დუმბაძის ლიტერატურული ნაწარმოებების გასცენიერებისა თუ მათი სცენაზე განსორციელების ცდისას. ამ მხრივ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე, რომელმაც თავიდანვე დუმბაძის არა ერთი ლიტერატურული ნაწარმოები მიუსადაგა სცენურ კანონებს. რუსთავის თეატრში ამ ახალი ნაწარმოების პირველი სცენური ნათლობაც ხომ მის სახელთან არის დაკავშირებული! რუსთავის თეატრის სპექტაკლი კი უთუოდ ცალკე შეფასების ღირსია. ამის შემდეგ რუსთაველის თეატრმაც თავისებურად ერთგვარი მადლიერებაც გამოთქვა რუსთავის თეატრის პირველადი დამსახურების მიმართ იმით, რომ მეტად სერიოზულად, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით მიუდგა პიესას, თავისი აკადემიური სტილის შესატყვისადაც საფუძვლიანად დახვეწა, გადაამუშავა და ისე შესთავაზა თავის მაყურებელს.

იდეურად და მხატვრულად გამართული პიესის დადგმა თეატრმა განახორციელა სიტყვიერი და ფიზიკური მოქმედების ერთიანობაში დახვეწილობით, უპირველესი, მხატვრულ-ემოციური ზომიერებით, ანსამბლურობით, ჰუმანური სულისკვეთებითა და თანადროულობის კარნახით განპირობებული იდეური სიმახვილით ნამდვილი ესთეტიკური სიამოვნება მოგვანიჭა. ამ სიამოვნებას ვეძღვიერებდა იმის განცდაც, რომ გემოვნებიანი და მომთხოვნი მაყურებლით (და უმალვე იგრძნობა ხოლმე „უდიტორიის საერთო დონეც!) გაჭედილ დარბაზშიც ერთსულოვანი მხარდაჭერა ვიგრძენით.

რა თქმა უნდა, სპექტაკლი უნაკლო არ არის. ზოგჯერ საგრძნობლად დუნდება რიტმი, ხან კი მოულოდნელად მძაფრ ხასიათს იღებს, ყურს ჭრის სიტყვიერი განმეორებებიც, ყოველთვის ლოგიკური გამართლება როდი აქვს მიზანსცენებსაც და სხვ., მაგრამ ყოველივე ეს მაინც უმნიშვნელოდ გამოიყურება სპექტაკლის საერთო ღირსებათა მთლიანობაში.

მართლაც რომ დიდი ნიჭია საჭირო სცენაზე ფიქრისა და განცდის დამაჯერებელი გამოვლენისათვის. ძნელია მაყურებლამდე გასაგებად იქნას მიტანილი არა მხოლოდ ის, რასაც მსახიობი ლაპარაკობს, არამედ ისიც, რასაც იგი არ ამბობს, რის შესახებაც დუმს, მაგრამ განიცდის. და აი სპექტაკლმა ყურადღება მიიპყრო იმითაც, რომ იგი გამოირჩევა თავისი არაჩვეულებრივი „მეტყველი დუმილის“ ხელოვნებითაც.

მოულოდნელი შემთხვევის გამო საკანში უცებ პატიმრებს შორის მარტდ მარტო აღმოჩნდება ნუნუ ქქთანი (მსახიობი ნ. ფაჩუაშვილი). რაღაც ქვეცნობიერი ინსტინქტებით ამოძრავებული პატიმრების დაძაბულ ვითარებაში გაოგნებით გამოწვეული წამიერი დუმილი მყარდება, რომელშიც გაიცლებით უფრო გამომსახველად მეტყველებს დრამატიზმი, ვიდრე ეს შეიძლებოდა რამე სიტყვებით გამოხატულიყო...

„მეტყველი დუმილის“ ასეთ ბევრი ღრმა აზრით აჩის სავსე პატიმრების მიერ წარმოსახული სასამართლო პროცესის ფინალური სცენა, როცა „უნებური მკვლელის“ სალარიძის მიმართ „სიკვდილის განაჩენი“ იქნა გამოტანილი... და განა მხოლოდ მასობრივ სცენებში? თვითეულ მსახიობს თავისებურად გაუშიერებია „დუმილით მეტყველება“.

უყურებთ ვ. მანჯგალაძის მიერ განსახიერებულ „სალარიძეს, რომელიც თითქოს მთელი მოქმედების მანძილზე დუმს, მაგრამ წუთითაც არ გრჩებათ მხედველობიდან ტრაგიკული შემთხვევის გამო გაუბედურებული ამ პატიოსანი კაცის წამებული სულის ამეტყველება...

შეუძლებელია დედა-შვილის შეხვედრის სცენაში დიდი მეტყველებით არ აღიქვათ ზ. კვერენჩხილაძის გატანჯული დედის საოცრად ბევრის გამომხატველი სიტყვაც და დუმილიც.

სპექტაკლში ამბავი ისე ვითარდება, თითქოს სცენაზე წარმოსახული სამყაროს ჩვენც ციხეში უდანაშაულოდ მოხვედრილი ყმაწვილის — ზაზა ნაკაშიძის ღირიკული განცდებით აღვიქვამთ, და მაინც იგი (ზაზა ნაკაშიძე) ყოველთვის როდი ცალკეული კონკრეტული სახეების სულიერი განცდების კომენტატორი (ზაზას როლის საკმაო სიმპათიურ განმასანსახიერებელ ახალგაზრდა მსახიობს ტ. ყველაიძეს ზოგჯერ გადამეტებულად ნაძალადევი მოძრაობები აქვს, ვითომდა ნერვიულობის ჯადოსაცვამად გამომძიებელთან შეხვედრის სცენებში, მაგრამ რეჟისორს მაინც არ უნდა გამორჩენოდა მხედველობიდან, რომ მსახიობი სიტყვისა და მოქმედების ლოგიკურ თანაფარდობაში უფრო მეტ დამაჯერებლობას აღწევს ხოლმე, ვიდრე გამომძიებლის ცხვირწინ გაუთავებელი ხელისქნევით).

საერთოდ კი, როგორც ვთქვით, სპექტაკლის ერთი შესანიშნავი დამახასიათებელი დირსება ისიც, რომ თვითეულს კარგად შესწევს უნარი აზრობრივ-ემოციური სიღრმით დაგვანახვოს მოსასმენი და მოგვასმენინოს დასანახი. ამგვარად განსორციელებული ყოველი როლი ხანგრძლივად აღიბეჭდება მაყურებლის მეხსიერებაშიც. ასეთია ბ. ბეშეშპორის კოლორიტული ტიგრან ბულოიანი. მსახიობმა მეტად დამახასიათებელი ფორმა გამოუნახა ამ გაპუსწორებელს.

შინაგანი განცდის დრამატული სიღრმით, ძუნწი, მაგრამ მკაფიოდ გამომსახველი მოძრაობით წარმოგვიდგება ლიმონას სასეს მსახიობი ძ. ბაბასაძე. ადრინდელი როლებიდან კიდევ ერთი მკვეთრად განსხვავებული, სრულიად ახალი სახით გაანდიდრა თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფია რ. ჩხიკვაძემ გოგოლაძის როლში. მრავალფერიოვნად გამოიყურება სცენური ხელოვნების პალიტრა ბ. სალარაძის მიერ, თავისი სულმდაბალი პერსონაჟის (ტეფეშვილი) წარმოსახვით, თუმცა მისი ტექსტობრივი მასალა რამდენადმე ყურს ჭრის მაყურებელს ზედმეტი უხამსობით. ასეთივე მკვეთრი ფერებით — არის დახატული რ. ჩხაიძის მიერ პატიმარ გამცემლიძის მოჩვენებითი განსწავლულობა, ნ. ფიროსმანიშვილის მიერ სპეკულანტ მოშიაშვილის გაიძვერობა, ბ. წიფურიას მიერ იუმორით გამობარი ბრმიზლის სახე.

„საბრალდებო დასკვნის“ მთავარი ღირსება სწორედ მის მამსილებელ პათოსშია.

რუსთაველის თეატრის ეს სპექტაკლი გარკვევით შთააგონებს მაყურებელს, რომ ვიდრე ქვეყანაზე ჯერ კიდევ არსებობენ ბოროტმოქმედნი, სასჯელიც აუცილებელია. ფინალურ სცენაში კანონიერად გამართლებული ზაზა ნაკაშიძის საკნიდან გასვლა, ხოლო ბნელ საკანში, რკინის ხლართებით დაბურულ სარკმელთან მიმდგარი დამნაშავე შოშია გოგოლაძე, რომელიც „გარეთ გაციცარვნებულ სამყაროს გასცქერი, მაყურებელს ერთხელ კიდევ განუმტკიცებს სიკეთის, პატიოსნების, სიმართლისა და კეთილშობილების მარადიული გამარჯვების რწმენას.

გივი ბარამიძე.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

შემთხვევები

მატარებლის თვლებს გამოსტაცა...

ეს მოხდა ოჩამჩირე-ტყვარჩელის რკინიგზის გადასარბენზე. მემანქანემ მიხეილ კვაჩმა, რომელსაც შემადგენლობა მიჰყავდა, შენიშნა ლანდაგზე მოთამაშე ბავშვი. პატარის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. მ. კვაჩმა ყველა ღონისძიება იხმარა შემადგენლობის გასაჩერებლად, მაგრამ მატარებელი უცბად ვერ გაჩერა. მაშინ მან თავის თანაშემწეს გადასძახა:

— აბა გადახტი, მატარებელს გაუსწარი. თორემ ბავშვს გავსერთხლ! გ. ლუკავამ შეასრულა გამოცდილი მემანქანის ბრძანება, ორთქლმავლიდან გადახტა, გაუსწრო მას და ბავშვი პირდაპირ წინათვლებიდან გამოსტაცა მატარებელს.

ნორჩმა მეხანძრემ იხსნა

ოჩამჩირის რაიონის სოფელ ფოქვეშში იწვოდა კოლმეურნე ნ. თანიას სახლი. ადგილობრივი სკოლის მოსწავლემ, ნორჩმა მეხანძრემ ზ. ფაჩულიამ ხანძარს მაშინ მიუსწრო, როდესაც ეიღაცამ სასოწარკვეთით იყვირა:

— სახლში სამი წლის რუსუდანია!...

ზ. ფაჩულიას არ დაუყოვნებია. ჩანთა მიწაზე დაადო და ალმოდებულ სახლში შეეარდა. მონახა ოთახი, სადაც პატარა რუსუდანი ზვილას ითხოვდა.

მოსწავლემ ბავშვი აიტაცა და, როგორც კი სამშვიდობოს გამოიყვანა, სახლი მთლიანად დაინგრა.

მ. ჭოჭუა.

სიცოცხლე გადარჩა

შუადღეზე სოფელ სხვეტარში ჯარის კაცის ქვრივმა მარა ზაბახიძემ შვილიშვილები ნუგზარი და მალხაზი ეზოში გაიყვანა სათამაშოდ. პატარა ნუგზარმა მდინარე ჩიხურის ნაპირას მიირბინა და წისქვილის ღარის სათავეში ფეხი დაუცდა. ბავშვი წყალმა გაიტაცა და წისქვილის ღარში გაჩხერა. შეჩერდა წისქვილის ქვის ბრუნვა. მეწისქვილე მინა ცუხუშვილი გარეთ გამოვიდა, დაინახა ღარში პატარა ბავშვი, რომელსაც წყალი თავზე გადასდიოდა. წუთი, და პატარა დაიღუპებოდა.

მეწისქვილის დაყვირებაზე წისქვილიდან გამოვარდა აკაკი ასანიძე, მისწვდა პატარა ნუგზარს, რომელიც მავთულს გამოსდებოდა და ცოცხალ-მკვდარი ბავშვი ღარის მავთულიდან გამოხსნა. შემთხვევის ადგილზე სხვეტორის აკაკი წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე შოთა გოგოლაძე გაჩნდა და ტელეფონით დაუკავშირდა საჩხერის რაიონაგადმყოფოს ბავშვთა განყოფილების გამგეს ნინა ხარებავას და სასწრაფო სამედიცინო დახმარების მორიგე ექიმს თამარ ავალიშვილს. ისინი მოვიდნენ შემთხვევის ადგილას, გალორწმენდეს და გაცივებულ ნუგზარს გაუწიეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება, ერთი საათის შემდეგ ბავშვს უკვე თამაშობა შეეძლო...

ასე გადარჩა 3 წლის ნუგზარ ზაბახიძის სიცოცხლე.

ა. ანასაშვილი.

ტელევიზია

22 აპრილი

პირველი პროგრამით

10.05 — დილის ვარჯიში ბავშვებისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია. მოსწავლეთათვის — „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — ბავშვებისათვის — „ჯადოსნური ეკრანი“, 11.15 — „ვინ უკეთ, ვინ სწრაფად“ (გასმეორებით), 12.05 — კინონარკვევი, 12.15 — „მუსიკალური კოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.45 — დოკუმენტური ფილმი „ცოცხალი ლენინი“, 13.15 — „კინოფიმა“, 13.50 — მხატვრული ფილმი „ადამიანის ბედი“, 15.30 — კინონარკვევი — „პორტრეტი წითელ მარშალოლოში“, 15.50 — „წიგნის სამყაროში“, 16.30 — ფერადი ტელევიზია — „კინომოგზაურთა კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.30 — კონცერტი, 18.00 — შესახვრეთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „ზარია“ (ეროროშილოვგრადი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი). მეორე ტაიმი (გადმოცემა ვოროშილოვგრადიდან), 19.00 — „ვაჟრობის მაღალი კულტურისათვის“, 19.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მუსიკალური პროგრამა, 19.55 — „კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პროგრამა“, 20.15 — „იაფნანა“ — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის, 21.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.25 — „მღვრის ზურაბ სოტკილავა“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „კინოლენინიანა“.

მეორე პროგრამით

19.05 — კონცერტი, 19.50 — სატელევიზიო ფილმი „ორნი უდაბნოში“.

23 აპრილი

პირველი პროგრამით

17.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 18.05 — განცხადებები, 18.10 — მოსწავლეთათვის — „ცანგალა და გოგონა“, 18.45 — გადაცემა „პარტიული ბილეთი“, 19.10 — „საერთაშორისო პანორამა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.40 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 20.00 — საქართველოს კოპოზიტორთა კავშირის პლენუმის კონცერტის ტრანსლაცია ფილარმონიის დიდი დარბაზიდან. შესვენების დროს საინფორმაციო პროგრამა — „მოამბე“, 22.00 „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (ვიდეოჩანაწერი), 22.30 — პირველად ჩვენს ტელეეკრანებზე მხატვრული ფილმი „ცისფერი ეკრანის გმირი“.

მეორე პროგრამით

17.15 — სკოლების დასახმარებლად — მასწავლებლის საათი — ქიმია (ქიმიური რეაქციების მიმდინარეობის კანონზომიერებანი), 18.00 — განცხადებები, 18.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექციები: ზოგად ქიმიაში, 19.05 — ფილოსოფიაში, 19.50 — მხატვრული ფილმი „ხაფანგი“.

რა ვნახოთ, რა ვიმღეროთ

რადიო

22 აპრილი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.20 — ტანვარჯიში, 06.35 — ქართული ხალხური მუსიკა, 08.00 — „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.30 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთ „საქართველოს პიონერის“ საკვირაო გამოშვება, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — „პიონერთა დაფიონი“ (გადმოცემა მოსკოვიდან) 11.45 — „მუსიკალური რადიოოფიში“, 12.15 — მოსწავლეთათვის — რადიოდადგმა „საუკეთესო ნიშანი“, 13.00 — მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის — კონცერტი-საუბარი გ. სვირიდოვის „პათეტიური ორატორია“, 14.00 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“, 14.30 — რუსული ხალხური სიმღერები, 14.45 — კ. ფედინი. „ლენინის სურათი“. მოთხრობა, 15.00 — „მეგობრობის კონცერტი. მოძმე სოსხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების მშრომელთათვის, 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის შეიარაღებისათვის, 16.50 — განცხადებები, 17.00 — „მსოფლიოს ერთი კვირის ამბები“, 17.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!, 18.10 — „დიდები და პატარები“. საუბარი „ულიანოვების ოჯახი“, 18.25 — ს. ცინცაძე. ორატორია „უკვდავება“, 19.30 — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტი, 20.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე „დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (თბილისი). შეხვედრის მეორე ნახევრის რეპორტაჟი (გადმოცემა მინსკიდან), 20.45 — კონცერტი, 21.00 — „ხუთწლედის მოწინავენი“, 21.30 — ლენინური პრემიის ლაურეატთა კონცერტი, 23.30 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

23 აპრილი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.20 — ტანვარჯიში, 06.35 — ი. გეჯაძე. საზეიმო უვერტიურა და სავიოლინო კონცერტი, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — დილის კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.10 — საბჭოთა კავშირის ხალხთა მუსიკა, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — დ. არაყიშვილი. ნაწყვეტები ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“, 11.45 — საუბარი „სადღეისო, გადაუდებელი საქმე“, 12.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.25 — „ბოეზია უპირველეს ყოვლისა“; 12.30 — რ. ლაღიძე. კამერული ნაწარმოებები, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 —